დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი
წევრები:
ნათია ღოღობერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
შაქრო ჟღენტი (მათემატიკისსაგნობრივი ექსპერტი)
მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246957761

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქობულეთი
იურიდიული მისამართი	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/47dm28F
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kobuleti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 30 41 61
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	577 30 41 61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES4230001023477- 22/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16.10.2023-17.10.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500 (ორ ცვლაში)	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა,
საბაზო საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა,
საშუალო საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი		----------
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	***2024 წლის 30 იანვრამდე განხორციელდეს შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისგან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.***

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	***2024 წლის 17 ოქტომბრამდე განხორციელდეს სკოლის მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე, შშმ პირთა გადაადგილების მიზნით, ლიფტის დამონტაჟება.***
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	**სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში სასურველია განისაზღვროს კონკრეტული წლები, თუ რა ვადებში განხორციელდება მიზნების შესაბამისი ამოცანები და მიეთითოს განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.**
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	**რჩევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას განაცხადი აქვს 1500 მოსწავლეზე. მიმდინარე ეტაპზე სკოლის დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლის დირექტორს ჰყავდეს მეორე მოადგილეც.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების N41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებით, 1500 მოსწავლეზე სასურველია სკოლას ემსახურებოდეს ორი ექიმი. ✓ ასევე, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვის მიზნით, სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.
3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	IT ლაბორატორიაში სულ 12 კომპიუტერი და 5 ლეფთოფია, არსებული ტექნიკა მოძველებულია. სასუველია სკოლას ჰქონდეს მეტი რაოდენობის კომპიუტერები IT ლაბორატორიაში (25 მაინც), რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		მეტად ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის 1:1 ელექტრონული სწავლებისას.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ბუნებისმეტყველების III,IV,V,VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია მხოლოდ 2-2 კომპლექსური დავალება. სასურველია სკოლამ დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეებს შესთავაზოს მეტი რაოდენობის კომპლექსური დავალება.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	უცხო ენა სასურველია შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც დააკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო და საშუალო საფეხური	რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**უცხოური ენა** **სასურველია დაიხვეწოს არსებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები- ჩაიშალოს ისინი თემების მიხედვით და სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით.**

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. *ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალის ნაწილთან პირად საქმეებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იძებნებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა:*
   - ✓ *სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;*
   - ✓ *უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.*

   ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლის მასწავლებლების მიერ აღებული ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. *სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის თითოეული თანამდებობრივი პოზიციის შესაბამისად.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება #01/03-95 თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, დოკუმენტში აღწერილია სხვადასხვა პოზიციებზე თანამშრომელთა მიღებისას გასათვალისწინებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

3. *სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მოთხოვნების სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:*

   - ✓ *სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს MES1230000753349-23/06/2023 წერილით მიმართა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით და არგუმენტირებული პოზიციით კვლავ წარმოადგინა აღნიშნული წერილი, რითაც დასტურდება, რომ სკოლამ დაიწყო რეაგირება ამ მიმართულებით. სკოლამ აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება დასრულდება 2024 წლის 30 იანვარს. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 2024 წლის 30 იანვრამდე განხორციელდეს შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისგან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.</u>*

   - ✓ *სკოლას არ ჰქონდა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 2023 წლის 12 ოქტომბერს სკოლამ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გაუგზავნა წერილი MIA 52302992774 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მტკიცებულება, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA52302992779-12/10/2023, რითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხილულ იქნა შესათანხმებლად წარდგენილი "სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა". აღნიშნული გეგმა შეესაბამება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. <u>საბოლოოდ</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>დასტურდება, რომ სკოლას აქვს შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.</u>

- ✓ *სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები. კერძოდ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა #5007219423-15/11/2023 სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ „საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაცია შესაძლებელია. თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა, რეკომენდირებულია შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება - ბლოკის კედლები ჩამაგრდეს შენობის კარკასში და მოხდეს შენობის მეოთხე სართულის ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, სასწავლო კლასების მაგივრად განთავსდეს სამეურნეო და სასაწყობე დანიშნულების ფართები.“*
  <u>სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

4. *ვიზიტის დროს ბუნებისმეტყველების კათედრას არ წარმოუდგენია V-VI კლასის თემების ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შესახებაც სკოლას მიეცა რჩევები. სკოლამ გაითვალისწინა რჩევები, სწრაფად მოახდინა რეაგირება და ვიზიტის შემდგომ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა V-VI კლასის ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში წარმოდგენილია მკაფიო კრიტერიუმები, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა.
სკოლის მისია - „მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, კონკურენტუნარიან, განათლებულ და მზრუნველ მსოფლიო მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა გარემოს, თემის უკეთესობისაკენ შესაცვლელად“.
სკოლის ხედვა - “სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ განვითარებაზე, რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულუფლებიან წევრად. ჩვენი სკოლის ძლიერი პედაგოგიური გუნდი დაეხმარება ყველა მოსწავლეს თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით შეძლოს ცოდნის შეძენა, გამოყენება და საკუთარი პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლინება. ყველა მოსწავლემ შეიგრძნოს და დაინახოს საკუთარი პროგრესი, საკუთარი გამორჩეული როლი ოჯახის, სკოლის, თემის განვითარების პროცესში“.
მისიით სკოლა აცხადებს, რომ იქნება ორიენტირებული მოსწავლე ჩამოაყალიბოს მსოფლიო მოქალაქედ, რომელიც ზრუნავს გარემოზე, თემზე, პროგრესზე.
სკოლის ხედვაც ფოკუსირებულია მოსწავლეზე, რომელიც ზრუნავს ოჯახზე, სკოლაზე, თემზე, საკუთარ პროგრესზე, სკოლის მოლოდინია ჰყავდეს ძლიერი პედაგოგიური გუნდი, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის ღირებულებებია:

- ✓ თანამშრომლობა;
- ✓ დემოკრატიული მართვა;
- ✓ ტოლერანტობა;
- ✓ გაზიარებული პასუხისმგებლობა;
- ✓ გამოხატვის თავისუფლება;
- ✓ სამართლიანობა;
- ✓ პატრიოტიზმი.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლას მისია და ხედვა სასკოლო კურიკულუმის (სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024) ნაწილია. სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო ფსიქო-ემოციურ და ფიზიკური გარემოს ფორმირებაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორის მოადგილე, მანდატური, რესურსცენტრის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და სამი მასწავლებელი. პერიოდულად საბჭო იკრიბებება, მსჯელობს არსებულ გამოწვევებზე და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სკოლას ემსახურება სამი მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას, ვიდეოკამერებით კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. სკოლის დაცვას უზრუნველყოფენ დღის და ღამის დარაჯები მუდმივ რეჟიმში. მასწავლებლებთან შეთანხმებით შედგენილია მორიგეობის განრიგი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება. სკოლა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებით, ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლის სახურავის სხვენი დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიმუშავა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. რომელსაც მონიტორინგს უწევს სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ასევე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდი. სკოლაში შედგენილია სსსმ მოსწავლეებისთვის ისგ, სკოლაში არის კეთილმოწყობილი რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია თვალსაჩინოებებითა და საჭირო ნივთებით. სსსმ მოსწავლეებს ემსახურება ორი სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის კულტურის მახასიათებელია შიდა სივრცეში მოხატული კედლები. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია „მოლაპარაკე კედლები“. თითოეული ნახატი შექმნილია მოსწავლების, მასწავლებლებისა და სკოლის სტუმრების მიერ, ატარებს მნიშვნელოვან სათქმელს, გამოხატავს სკოლის ღირებულებებს. მაგალითად - „კიდევაც დაიზრდებიან“, „ყაყაჩოები“, „იაკობ გოგებაშვილის - დედა ენა“, „საქართველოვ ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა“, „იქნებ ვაზია სამშობლო“ და სხვა.
სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების აქტივობები, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობები, საკლუბო მუშაობა, წრეები არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შექმნაში ჩართული იყვნენ - მასწავლებლები, კათედრები, სამეურვეო საბჭო, დაინტერესებული პირები, თემის წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელისუფლება. ჩატარდა გამოკითხვები, ინტერვიუირება. მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განახლდა სკოლის მისია და ხედვა. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები, სკოლის ბუღალტერი, მოსწავლე, მშობელი, მასწავლებლები - სულ 9 წევრი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელდა სკოლის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათზე. დაგეგმილია მისი აქტიური გაზიარება მშობელთა კრებებზეც. სამეურვეო სამჭოში ჩართულია ექვსი მასწავლებელი, ექვსი მშობელი და ერთი მოსწავლე. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სამეურვეო საბჭომ მოიწონა და შესაბამისად, კიდეც დაამტკიცა სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლის პირველი სართულის ცენტრალურ ფოიეში საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის მისია და ხედვა. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი პირველი აქტივობა სწორედ შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, მისიისა და ხედვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაცნობას ემსახურება. სკოლის მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის ახალ პორტალზე: https://bit.ly/47dm28F, ასევე გასაჯაროვდა სკოლის სოციალურ გვერდზეც.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სკოლის სახელწოდებაა - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა. სკოლის სახელწოდება, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის და 2017 წლის 16 მარტის N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებების შესაბამისად, რაც სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის პედსაბჭოს ოქმი #1-08/10/2023;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #16-08/10/2023;
- დირექტორის ბრძანება #01-03/52 _ 04/09/2023 სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებითა და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, სკოლამ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად განისაზღვრა სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, ასევე სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:
   - ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
   - ✓ ადამიანური რესურსის განვითარება;
   - ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
   - ✓ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
   - ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
   - ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
   - ✓ ორგანიზაციული განვითარება.

   თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.
   შვიდწლიან გეგმა ზოგადი ტიპისაა, წარმოდგენილია განხორციელების ვადები, თუმცა დაკონკრეტებული არ არის წლების მიხედვით რომელი ამოცანა რა ვადებში გადაიჭრება.
   რჩევა: სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში სასურველია განისაზღვროს კონკრეტული წლები, თუ რა ვადებში განხორციელდება მიზნების შესაბამისი ამოცანები და მიეთითოს განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და ხედვიდან. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სკოლას მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დეტალურად აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნების, ამოცანების ფორმულირებისა და შემუშავების პროცედურები.
   2023-2024 სასწ. წლის სამოქმედო გაგმაში კვალვ წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები, მაგრამ აქ დამატებულია აქტივობები. აქტივობები ამოცანების რელევანტურია. სკოლამ განახორციელა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, რის საფუძველზეც განახორციელეს ინფორმაციის SWOT ანალიზი და ამის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის შემუშავება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლის მიერ შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მიემართება სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია სკოლის 7 სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, განხორციელების რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის სამოქმედო გეგმა განთავსებულია სკოლის პორტალზე https://bit.ly/47dm28F .
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის პედსაბჭოს ოქმი #1-08/10/2023;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #16-08/10/2023;**
- **დირექტორის ბრძანება #01-03/52 _ 04/09/2023 სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;**
- **სკოლის პორტალი: https://bit.ly/47dm28F**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან.**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია ეფუძნება იესთ პრინციპებს, როგორიცაა: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:
   - ✓ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გაზიარების პროცესი;
   - ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი;
   - ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
   - ✓ მისია, ხედვა, ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი;
   - ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშის მომზადების პროცესი.

   სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან:
   - ✓ დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
   - ✓ სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები).

   მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების ნდობას. ასევე, ხელს შეუწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ✓ სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და სკოლის დირექტორისათვის წარდგენა;
- ✓ დირექტორის მიერ პედაგოგიურ საბჭოზე წარდგენა და განხილვა;
- ✓ მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა;
- ✓ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება;
- ✓ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები დანართის სახით თან ერთვის მეთოდოლოგიის წესს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე და პორტალზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადმინისტაციის ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ შედეგები ასევე წარდეგინება სამეურვეო საბჭოს დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. მეთოდოლოგიაშიც წარმოდგენილია და სკოლის ადმინისტრაციამაც განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარადგენს მომავალი სასწავლო წლის ბოლოს და გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **დირექტორის 2023 წლის 9 აპრილის ბრძანება #01-03/51 სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;**
- **სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **ინტერვიუ სამუშაო ჯგუფთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. თითოეული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „თანამშრომლებზე ფუნქციების განაწილების შესახებ“.
   სკოლის მმართველობის უმაღლესი რგოლია სამეურვეო საბჭო. შექმნილია ხარისხის განვითრების ჯგუფი. სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. სკოლის უსაფრთხოებას ემსახურება 3 მანდატური, ექიმი; სკოლაში არის 2 სპეც. მასწავლებელი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სამეურვეო საბჭოს, დირექტორის, დირექტორის მოადგილეების, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის წესდებაში, რითაც ხელმძღვანელობს სკოლა. კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის, კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება-მოვალეობები დამატებით დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით შექმნილი წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფის და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ მუშაობას. სკოლას აქვს გაზიარებული ლიდერობის კულტურა, სადაც პასუხისმგებლობები მიზნობრივად ნაწილდება. ექსპერტთა ვიზიტის დროს მკაფიოდ იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულება. ფუნქციები და მოვალეობები რელევანტურად არის გაწერილი სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი);**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: 2023 წლის 8 სექტემბრის N01-03/72 ბრძანება „თანამშრომლებზე ფუნქციების განაწილების შესახებ“;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**
- **ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმდო გეგმა;**
- **სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების ოქმები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები და ერთი ეგზემპლარი გადაცემული აქვს დასაქმებულს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში, თვასაჩინო ადგილას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლაში ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საავადმყოფო ბიულეტენზე ყოფნისას, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლაში შექმნილია ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების არ შეფერხდეს. სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წარმოდგენილია სკოლის მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები, მართვის რეგულაციები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, კადრების მოზიდვა, შერჩევის რეგულაციები, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, მამოტივირებელი ფაქტორები და სხვა. ინტერვიუირებიდან ირკვევა, რომ სკოლის დირექტორს გაცნობიერებული აქვს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა დასახული მიზნების მიღწევისთვის და იცის, როგორ შექმნას გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და დელეგირებაზე დაფუძნებული სისტემა.

რჩევა: სკოლას განაცხადი აქვს 1500 მოსწავლეზე. მიმდინარე ეტაპზე სკოლის დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლის დირექტორს ჰყავდეს მეორე მოადგილეც.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის„ საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის კონკურსის გამოცხადების წესის შესაბამისად. სკოლა ვალდებულია შიდა ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია განათავსოს სკოლის განცხადებების ადგილას, ხოლო გარე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე: www.pedagogi.ge, www.teacherjobs.ge . კონკურსანტის შერჩევა ხდება რამდენიმე ეტაპად. სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. რაც შეეხება არაპედაგოგი თანამშრომლების შერჩევას, ის სრულდება ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე.

ხარვეზი: *ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალის ნაწილთან პირად საქმეებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იძებნებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა:*

- ✓ *სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;*
- ✓ *უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლის მასწავლებლების მიერ აღებული ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

4. თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თითოეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს 64 მასწავლებელი, მათგან 54 უფროსი, 8 წამყვანია. სკოლას ჰყავს 1 მოწვეული მასწავლებელი და 1 მაძიებელი მასწავლებელი. სკოლამ 2023 წელს ორი პედაგოგი წარადგინა უფროსი მასწავლებლის სტატუსზე, ხოლო 1-წამყვანის სტატუსზე.
   სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 4 დამლაგებელი, 2 სპეც. მასწავლებელი, 3 სპეც. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ცეცხლფარეში.
   მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.
   თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა, სპეც. მასწავლებელთა, სპეც. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ექიმის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ მოცემულ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების პირობებში. თუმცა არ არის განსაზღვრული სხვა თანამშრომლების კვალიფიკაციები. მაგალითად, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ.
   ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის თითოეული თანამდებობრივი პოზიციის შესაბამისად.
   ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება #01/03-95 თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, დოკუმენტში აღწერილია სხვადასხვა პოზიციებზე თანამშრომელთა მიღებისას გასათვალისწინებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

5. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მნიშვნელოვანი მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან 6 მასწავლებლი, 6 მშობელი და 1 საშ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, მანდატური, მოსწ. თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან. ჯგუფის მიზანია:

ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;
გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება;
დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა;

- ✓ სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;
- ✓ მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ჭადრაკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები;
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პროექტის მასწავლებლები;
- ✓ უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის - რუსულის მასწავლებლები;
- ✓ ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის/მუსიკის პროექტის მასწავლებლები;
- ✓ სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები;
- ✓ დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

სკოლაში ფუნქციონირებს მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი.
მასწავლებლებთან ინტერვიუირებისაა გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო ჯგუფებისა და კათედრის ფარგლებში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი აქვს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შიდა მექანიზმები. სკოლა ამ შეფასების საფუძველზე მოახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. წარმატებული პრაქტიკის მქონე მასწავლებელს(სტატუსის შესაბამისი ყველა სავალდებულო აქტივობის განხორციელების შემდეგ) სკოლა წარადგენს მპგეც-თან მასწავლებლის პრაქტიკული ნაწილის შეფასების მიზნით. მიმდინარე წელს სკოლამ წამყვანის სტატუსზე წარადგინა ერთი მასწავლებელი, ხოლო უფროსის სტატუსზე ორი მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ წლიური შედეგების შეჯამებისას პედ. საბჭოზე მოხდება მადლობის გადახდა შესაბამისი ბრძანებითა და სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება - დამტკ. #01-03/67, 26/11/2020;
- თანამშრომლებზე ფუნქციების განაწილება- დირ. ბრძანება #01-03/72, 08/09/2023;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - დამ. #01-03/63, 08/09/2023;
- პედსაბჭოს, კათედრების ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება #01/03-95 თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია და დამტკიცებულია ამ ჯგუფის დებულება. დებულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული ჯგუფი ესწრება პედაგოგებს გაკვეთილზე და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დადგენა. სკოლას წარმოდენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. შეფასების ციკლი მოიცავს ეტაპებს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით განხორციელდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასების ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. შეფასების ციკლის შემოწმების ეტაპზე, ადამიანური რესურსების შეფასებისას ხდება აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის დადგენა შესაბამისი კრიტერიუმების შემოწმების შედეგად. თუ გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მასწავლებლები გამოთქვამენ გარკვეულ საკითხებზე ტრენინგის ჩატარების სურვილს, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა დატრენინგებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით და დაეხმარება პროფესიულ განვითარებაში. შემოწმების შედეგად წამოჭრილი ზოგადი პრობლემები განხილული იქნება პედაგოგიურ საბჭოზე ან კათედრებზე. შედეგები აისახება სკოლის SWOT ანალიზიში, რაც გათვალისწინებული იქნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის ჯგუფი:
   - ✓ ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
   - ✓ ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;
   - ✓ მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე;
   - ✓ საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს;
   - ✓ მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს;
   - ✓ პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:

- ✓ თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- ✓ სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
- ✓ მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.

გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი საბაზისო განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია. სკოლა ჩაერთულია მესამე თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესში. მასწავლებლები რაიმე კონკრეტული ტიპის პროფესიული განვითარების გეგმას არ ადგენენ, თუმცა მუდმივად ორიენტირებულნი არიან პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა მოწოდებულია ხელი შეუწყოს პერსონალთა კარიერულ წინსვლას და დროულად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია. ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები მასწავლებლებს დაესწრებიან გაკვეთილებზე, შედეგს განიხილავენ მასწავლებელთან ერთად და მიაწვდიან ზეპირ ან წერილობით უკუკავშირს. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები გაწეული მუშაობის ანგარიშს/რეფლექსიას წარუდგენენ მხარდამჭერ ხარისხის განვითარების ჯგუფის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლამ საკუთარი სკოლის მასწავლებელთა კონკრეტული ჯგუფი ჩართო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა "ჰორიზონტი 2020"-ში, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელთა ჯგუფი გაეცნო მრავალფეროვან ციფრულ რესურსსა და პლატფორმას.
   სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას ყველა ტიპის პროფესიული განვითარების აქტივობაზე, რაზეც შემოდის შეტყობინება სკოლის ელ. ფოსტაზე, ან eFlow-ში - ტრენინგებზე, ფორუმებზე, კონფერენციებზე, დისტანციურ სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს. პროფესიული ზრდის ხელშემწყობია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, საქმისმწარმოებლის ტრენინგები. ბუღალტერი პერიოდულად ესწრება ტრენინგებს ინვენტარიზაციის, შეყიდვებისა და ავტორიზაციის მიმართულებით. აღსანიშნავია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში სკოლის ჩართულობა, ტრენინგები და ვებინარები საგნობრივ და ლიდერობის ექსპერტებთან, კონფერენციები და გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული გადამზადება ხელს უწყობს პერსონალთა კომპეტენციის ამაღლებას, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დანერგვას და სასწავლო პროცესის ხარისხიანობის მატებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. გათვალისწინებულია ადაპტაციის ეტაპები და პროცედურები. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს თანამშრომლის ორგანიზაციის შიგნით გადანაცვლების, დეკრეტული, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნების ადაპტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სამუშაოზე ადაპტაციის პროცედურები. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, სკოლაში შექმნილია საჭირო სამუშაო გარემო მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციის და სხვა პერსონალისთვის. დირექცია დეტალურად უხსნის მასწავლებელს/დასაქმებულს ფუნქცია-მოვალეობებს აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით, აწვდის ინფორმაციას ანაზღაურების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ, უზრუნველყოფს სამუშაო სივრცით და საჭირო ინვენტარით, აცნობს სკოლის მისიას, ხედვას, შინაგანაწესს და სკოლის საქმიანობის უმთავრეს ღირებულებებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ამისთვის სკოლა ასაჯაროებს მასწავლებლისა და მათი მოსწავლეების მიღწევებს. საჯარო სივრცეში, სოციალურ გვერდზე განათავსებს შედეგებს. მიმდინარე წელს სტატუსის ამაღლებისთვის წარდგენილი ჰყავთ 3 მასწავლებელი. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა პერსონალს სთავაზობს არაფორმალურ გასვლით შეხვედრებსა და აქტივობებსაც მათი ინიციატივების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - დამ. #01-03/63, 08/09/2023;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **მასწავლებელთა პორტფოლიოები, სერტიფიკატები, ტრენინგის გავლის დადასტურებები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლის სოციალური გვერდი;**
- **ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ, ხელშეკრულებები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას წარმოდენილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. შეფასების ციკლი მოიცავს ეტაპებს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". გაწერილია თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები. სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ცდილობს იკვლიოს პროცესები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვებით, გაკვეთილების შეფასების ანალიზით, განხორციელებული პროექტების შეჯამებით, სასწავლო წლის ბოლოს წარდენილი ანგარიშებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლას გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. მმართველობითი ერთეულებია, სკოლის სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო. მმართველობითი ერთეულები პასუხისმგებლები არიან ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვნად შესრულებაზე. სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე. სკოლის სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, დებულებებში, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლის პერსონალის ფუნქციების დოკუმენტში, თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე პროცესებიც. წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება. ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დისციპლინურის კომიტეტი დაკომპელქტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პრინციპს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს სამეურვეო საბჭოში. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება განხორციელდება"ზოგადი განათლების შესახებ კანონის" II თავის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. ბავშვთა უფლებების დაცვა რეგულირდება ასევე „ბავშვთა უფლებათა კოდექსის" შესაბამისად.
რაც შეეხება მასწავლებელთა დისციპლინურ გადაცდომას, სკოლის დისციპილინური კომიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანების „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ"- ის შესაბამისად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. შინაგანაწესით განისაზღვრება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხსიმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. მშობელსა და სკოლას შორის არსებობს შეთანხმებები, რომლის საფუძველზეც მშობელი/მეურვე გამოთქვამს თანხმობას, საჭიროებისამებრ და უსაფრთხოების ნორმების დაცვით გამოქვეყნებული იყოს მოსწავლის პირადი მონაცემები და ფოტოები. სკოლაში ბრძანებითაა დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის დებულება. წარმოდგენილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და პროცედურები, ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, მოსწავლის პირადი ინფორმაციის დაცვის წესები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის წესდება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება - დამტკ. #01-03/67, 26/11/2020;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
- მშობლის თანხმობის ფორმა;
- ბრძანებები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის ცენტრალურ ფოიეში, განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, Microsoft Teams პლატფორმა, სადაც შესაძლებელია დისტანციური სინქრონული ჩართვა და კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სკოლის სოციალური გვერდით, პორტალით, ასევე პედსაბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე სკოლას აქვს ანკეტური გამოკითხვის პრაქტიკა მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელწადში ერთხელ. დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ მტკიცდება განათლებისა მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ასევე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, მაქსიმალურად გაითვაისწინებს მათ ინიციატივებს. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით.
გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა მოსწავლეთა თვითმმართველობის სახით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- პედ. საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის გვერდი: https://bit.ly/47dm28F ;
- სკოლის სოც. გვერდი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზოს ტერიტორია, სკოლაში დასაქმებულინი არიან სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით, სისტემით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში განთავსებული იყო შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმები.

ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს MES1230000753349-23/10/2023 წერილით მიმართა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“, რომელიც ეხებოდა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიისგან დაცვით ღონისძიებებს და სრულად არ ასახავდა სხვა რიგ საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმებს.

ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 2023 წლის 12 ოქტომბერს სკოლამ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გაუგზავნა წერილი MIA 52302992774 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლას ჰყავს 1 ექიმი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ბრძანების მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექიმის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია.

რჩევა: სკოლამ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრა 1500 მოსწავლით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების N41/ნ/01-23/ნ საფუძველზე, სასურველია 1500 მოსწავლეზე სკოლას ემსახურებოდეს ორი ექიმი.

ასევე, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვის მიზნით, სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობის შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). 2023 წლის 28 ივნისს სკოლამ გაგზავნა წერილი #22300007777623 ლევან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მომზადების თხოვნით.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მოთხოვნების სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

- ✓ *სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს MES1230000753349-23/06/2023 წერილით მიმართა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით და არგუმენტირებული პოზიციით კვლავ წარმოადგინა აღნიშნული წერილი, რითაც დასტურდება, რომ სკოლამ დაიწყო რეაგირება ამ მიმართულებით. სკოლამ აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება დასრულდება 2024 წლის 30 იანვარს. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 2024 წლის 30 იანვრამდე განხორციელდეს შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისგან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.</u>*

- ✓ *სკოლას არ ჰქონდა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 2023 წლის 12 ოქტომბერს სკოლამ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გაუგზავნა წერილი MIA 52302992774 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მტკიცებულება, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA52302992779-12/10/2023, რითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხილულ იქნა შესათანხმებლად წარდგენილი "სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა". აღნიშნული გეგმა შეესაბამება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. <u>საბოლოოდ დასტურდება, რომ სკოლას აქვს შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები. კერძოდ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა #5007219423-15/11/2023 სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ „საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაცია შესაძლებელია. თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა, რეკომენდირებულია შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება - ბლოკის კედლები ჩამაგრდეს შენობის კარკასში და მოხდეს შენობის მეოთხე სართულის ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, სასწავლო კლასების მაგივრად განთავსდეს სამეურნეო და სასაწყობე დანიშნულების ფართები.“*
  <u>სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული გამოკრულია სკოლის ფოიეებში და საკლასო ოთახებში.

   სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია 3 მანდატური, სკოლაში დასაქმებულნი არიან დღისა და ღამის დარაჯები. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შემოსვლა მკაცრად კონტროლდება.

   მუდმივად ჩართულია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერები. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, სკოლის ქონების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რეგულაციები, სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია "მე და საზოგადოების", „სამოქალაქო განათლების", „ბუნებისმეტყველების" და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სკოლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინკლუზიური გარემოს ფორმირება, სსსმ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამ მიზნით სკოლაში მუშაობს ინკლუზიური განათლების ჯგუფი. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს და თავადაც წარმოადგენს თანამშრომლობითი კულტურის განვითარების მაგალითს, რასაც ადასტურებს გადაწყვეტილებების არაერთპიროვნული მიღება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - სველ წერტილებში არის თხევადი საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი, სკოლაში პერიოდულად ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები. ყველა სართულსა და დერეფნებში, არის წყლის დისპანსერი, სადეზინფექციო ხსნარი, სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგინის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას აქვს წყლის დამატებითი რეზერვუარი (5000ლ), რომელიც გამოიყენება წყლის შეწყვეტისას, ან სახანძრო შემთხვევის დროს.
დამლაგებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილ დამლაგებლის ვადებულებებში იკვეთება, თუ სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რა პროცედურები აქვს, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი მკაფიოდ გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები.
რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, მექანიზმები და მონიტორინგი. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ საჯარო განხილვა/გავრცელება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა, რომელიც ლიცენზირებულია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

7. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.
ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პედაგოგების მორიგეობის განრიგი;
- ვიზიტორთა სარეგისტრაციო წიგნი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (საევაკუაციო გეგმის შემუშავება) № O38/06-12 ივნისი 2023 წ;
- ექიმის ხელშეკრულება, ჟურნალები;
- მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანხმობები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი;
- დაცვის პოლიციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში და სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და დაცვის მონიტორინგი
- პერსონალურ მონაცემების მონიტორინგზე პასუხისმგებელი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;
- *შესაბამისობის გეგმა;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA52302992779-12/10/2023;*
- *ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა #5007219423-15/11/2023.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი #47 (ს/კ 20.42.08.255), 9259 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლას აქვს ოთხსართულიანი N1 შენობა, რომლის საერთო ფართობია N01/4-3711.9, ასევე N2 ნაგებობა 33.6 კვ.მ ფართით (გათბობის საქვაბე). სკოლა შენობას ფლობს უზუფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2015 წლიდან.

   სკოლის პირველ სართულზე განლაგებულია:
   - შიდა სპორტული დარბაზი;
   - ვაჟებისა და გოგონების გასახდელი ოთახები;
   - ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 2-2 სვ. წერტილით შენობის ორივე მხარეს;
   - სამედიცინო ოთახი,
   - დირექტორის კაბინეტი,
   - სამასწავლებლო,
   - ბუფეტი,
   - მანდატურის ოთახი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- 6 საკლასო ოთახი;
- დარაჯის ოთახი;
- სკოლის ცენტრალური შესასვლელი და დერეფნები;

მეორე სართულზე განლაგებულია:

- ბიბლიოთეკა და სათავსო;
- 10 საკლასო ოთახი,
- სააქტო დარბაზი სრული აღჭურვილობით: ფორტეპიანოთი, აუდიო სისტემით, ხმის გამაძლიერებელი სისტემით, ვოკალური ინსტრუმენტებით;
- სახელოვნებო სივრცე;
- კომპიუტერული ლაბორატორია 25 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 2-2 სვ. წერტილით შენობის;
- პერსონალის საპირფარეშო,

მესამე სართულზე განლაგებულია:

- 13 საკლასო ოთახი,
- არქივი;
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 2-2 სველი წერტილით შენობის ორივე მხარეს,

მეოთხე სართულზე განლაგებულია:

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის;
კომპიუტერული ლაბორატორია;
2 საკლასო ოთახი;
1 ოთახი, სადაც იყო ბიბლიოთეკა (მიმდინარე წელს ბიბლიოთეკა ჩამოიტანეს მეორე სართულზე).

სკოლაში სულ 31 საკლასო ოთახის, საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა შეადგენს 1257 ერთეულს. მერხები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. ვიზუალური დათვალიერებისას ყველა საკლასო ოთახში განლაგებული იყო კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები.

სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი და სარეკრიაციო ზონები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით.

სკოლის სპორტული დარბაზი და ინვენტარი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს მრავალფეროვანი სპორტული აქტივობები. სპორტული დარბაზი აღჭურვილია ფრენბურთის ბადით, კალათბურთის ფარებითა და ტენისის მაგიდით.

სკოლის დერეფნები მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, სკოლის შენობის შიდა სივრცეში ნავიგაციის ნიშნულები, მოხატულია კედლები, რაც სკოლის კულტურის ნაწილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა მეოთხე სართულის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია. სახურავში ჩამოვიდა წვიმა, რამაც დააზიანა ფიზიკისა და IT ლაბორატორიების ჭერი. ადმინისრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგეგმება მცირე სარემონტო სამუშაოებიც.
ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რესურსებით, აინშტაინის ლაბორატორიით, ყველა საჭირო რესურსით, გამწოვი სისტემით. სასურველია სადემონსტრაციო მაგიდების შეძენა მედეგი ზედაპირებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. დირექტორის, სამდივნოს, მანდატურების კაბინეტებში განთავსებულია საჭირო ტექნიკა: კომპიუტერი, პრინტერი/სკანერი. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შიდა და გარე სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი გამართული აღჭურვილობით, მრავალფეროვანი საესტრადო ინსტუმენტებით, ხელოვნების ცენტრი მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია და საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური, კლუბური და საწრეო მუშაობა განხორციელდეს სკოლაში.
სკოლას აქვს ასევე მოწესრიგებული ბიბლიოთეკა სამკითხველო სივრცით, რაც ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლე-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 674 წიგნი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (Excel), წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესები. *სასურელია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც თავს მოიყრის ბიბლიოთეკით სარგებლობის ყველა წესი და პროცედურა. ასევე საჭიროა ბიბლიოთეკის არჭურვა მრავალფეროვანი მხატვრული ლიტერატურით, ციფრული ტექნიკით.*

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის პირველ სართულზე. პირველ სართულზეა განლაგებული სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, კვების ბლოკი. თუმცა, მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ხოლო მეოთხე სართულზე ისტ ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.
ხარვეზი: სკოლაში არ იყო დამონტაჟებული შიდა პანდუსები სართულებზე ასასვლელად, ან ლიფტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლის პირველ სართულზე არსებულ ადაპტირებულ საპირფარეშოში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა რეაბილიტაცია.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. სკოლას ემსახურება 2 სპეც. მასწავლებელი და 3 სპეც. ასისტენტი.

ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აბრები, ასევე საპირფარეშების ნიშნულები.

სკოლაში არ იყო დამონტაჟებული შიდა პანდუსები ზედა სართულებზე ასასვლელად, ან ლიფტი. ამასთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმაში განისაზღვრა, სასკოლო ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, ზედა სართულებით სარგებლობის მიზნით, დამონტაჟდეს ლიფტი 2024 წლის 17 ოქტომბრამდე. სკოლამ უკვე დაუწყო რეაგირება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. 2023 წლის 17 ოქტომბერს გაგზავნა წერილი MES3230001390811 ქობულეთის რესურსცენტრის შუამდგომლობით, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან სკოლაში ლიფტის დამონტაჟების თხოვნასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 2024 წლის 17 ოქტომბრამდე განხორციელდეს სკოლის მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე, შშმ პირთა გადაადგილების მიზნით, ლიფტის დამონტაჟება.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგიმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.5.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

4. სკოლაში არის შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველჰყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი (სცენით, მოხერხებული სავარძლებით, მუსიკალური ინტრუმენტებით: გიტარა, პიანინო, ელექტრო-პიანინო, მიკროფონები, დრამი), ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, საბინებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა, ჭადრაკის დაფები, მაგნიტური დაფები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროექტორები, სპორტული ინვენტარი, კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა,
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;
- წერილი #22300007777623 ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში;
- საინვენტარიზაციო წიგნი;
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება ბიბლიოთეკართან;
- გასაუბრება ადმინისრაციასთან, მასწავლებლებთან;
- *შესაბამისობის გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბერის წერილი MES3230001390811.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს, მანდატურის, რესურსოთახის სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ ციფრული განვითარების გეგმა, სადაც აღწერილი აქვს სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა.
სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის Facebook გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. შექმნილია სკოლის მოსწავლეთა საერთო facebook-ის და Temas-ის ჯგუფები. სკოლა იყენებს facebook-ის, Temas-ის პლატფორმას მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია მიმართოს ან **გაუგზავნოს შეკითხვა** სკოლას ოფიციალურ მეილზე: kobuleti1@mes.gov.ge. სკოლა უპასუხებს ყველა შეტყობინებას 9.00-18.00 სამუშაო საათების განმავლობაში, რაზეც პასუხისმგებელი პირი იქნება საინფორმაციო მენეჯერი.
სკოლას გააჩნია 15 კომპიუტერი, 9 ლეფთოფი, 7 პრინტერი, 21 პროექტორი.
რჩევა: საყურადღებოა IT ლაბორატორიის მდგომარეობა. ლაბორატორიაში სულ 12 კომპიუტერია და 5 ლეფთოფი. ტექნიკა მოძველებულია. სასურველია IT ლაბორატორიის აღჭურვა მინიმუმ 25 კომპიუტერით, რათა ყოველი მოსწავლისთვის ინდივიდუალურად ხელმისაწვდომი იყოს მისი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 12 მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერი და 5 ლეფთოფი, შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ 17:00 საათამდე აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით.
ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია, თუმცა არასათანადოდ გამართულობისა და დაბალსიჩქარიანი ინტერნეტის გამო იშვიათად გამოთქვამენ მოსწავლეები ლაბორატორიით სარგებლობის სურვილს. ტექნოლოგიების ლაბორატორია მუშაობს ტესტირებების, ოლიმპიადების, ექსტერნების გამოცდებთან დაკავშირებით წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.
გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირები. მასწავლებლეთა გამოკითხვით, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ მათთვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილი იყოს სამასწავლებლოში, სადაც პედაგოგები თავს იყრიან და აზრთა გაზიარება ინტენსიურად მიმდინარეობს. ტექნიკის საკლასო ოთახებში გამოყენების განრიგზე პასუხისმგებელი იქნება დირექტორის მოადგილე. საზიარო სამუშაო სივრცე ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი ყველა მასწავლებლისთვის. ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები. ადმინისტრაცია სარგებლობს საკაბელო ინტერნეტითაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ;
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth
- სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100022534095350
- საინვენტარიზაციო წიგნი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, საინფორმაციო მენეჯერთან.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. სკოლას აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც განსაზღვრულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, ელექტრონულ მისამართზე განცხადებების, წერილების და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და რეაგირება. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული განცხადებების/წერილების ჟურნალს მატერიალური სახითაც. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. ბრძანებები შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები, რომელთა რეგისტრაციაში გატარებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი ცალცალკე ჟურნალში. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები ნებისმიერ საკითხზე (გარდა საკადრო ხასიათის ბრძანებებისა)ბრძანებების ნომრის მინიჭება ხდება შემდეგი წესით, ჯერ მიეთითება ჟურნალის ნომერი, შემდეგ ტირე და რიგითი ნომერი, მაგ; 2-01. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები სკოლაში საკადრო საკითხებთან დაკავშირებით (თანამშრომელთა გადადგილება; გათავისუფლება, მივლინება, შვებულება, წახალისება; საყვედური; შრომითი ურთიერთობების შეჩერება, დროებით შეჩერებული შრომითი ურთერთბის განახლება)მაგ.: 1/კ-01.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა kobuleti1@mes.gov.ge. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმობის წესი;
- eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- გასაუბრება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ, სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას kobuleti1@mes.gov.ge, teams-ის პლატფორმას, facebook-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebook-ის გვერდი და პორტალი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...).
   სკოლას აქვს პორტალი, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის.
   სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად ათავსებს სიახლეებს. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების განხილვა/გაზიარების მიზნით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებენ აღნიშნულს. შემუშავებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება (ინფორმირების წესი).
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ გვერდს საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლა აქვს ოფიციალური მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სკოლის ვებ-გვერდის შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100022534095350
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის პორტალი: https://bit.ly/47dm28F
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საინფორმაციო მენეჯერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს შემოსავლებს ეკონომიკური შემოსავლებიდან. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის ფინანსები უზრუნველყოფს ყველანაირ კომუნალურ ხარჯს: ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, წყლის მოწოდების, დასუფთავების, დაცვის და სხვა ხარჯებს. სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება, მცირე ნაწილი მოდის საიჯარო შემოსავლებზე, რომელიც შეადგენს თვეში - 525 ლარს. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია, სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილი იქნება მისი განხორციელება.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბუღალტერი თანამშრომლობს ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა - ბიუჯეტი 2023;
- დაფინანსების დინამიკა 2022;
- შესრულება ბიუჯეტი 2022;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- საიჯარო ხელშეკრულებები;
- ბაზრის კვლევა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგანაწესით, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
   სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
   სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეტესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.
   მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.
სკოლამ ასევე წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც თარიღდება 15.09.2023 წლით, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სასწავლო გეგმა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი თვითმართველობის არჩევნების, შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ,
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინარული კომიტეტის შექმნის შესახებ,
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მშობელთან გაფორმებული შეთანხმება,
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია,
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100022534095350
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (2022-2023);
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა,
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
   შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.
   მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, Microsoft Teams-ის პლატფორმა, სადაც ხდება ინფორმაციის/ დოკუმენტაციის ატვირთა. მშობლებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ელ. ჟურნალით სარგებლობას, მოსწავლეთა გაცდენები და ნიშნების ფურცელი მიეწოდებათ (ელექტრონულად ან ამობეჭდილი) დამრიგებლების მიერ. მშობლებთან მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად.
   სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები; პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები. დოკუმენტები ინახება როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის სტატუსის შეჩერება, ჩარიცხვა. სკოლის დირექციასთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოთხოვნა ეგზავნება განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამინისტროს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით ,,5''-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლას, კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარით აქვს გაცემული ფართები, სადაც ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი, რომელშიც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (ხელსაბანი, მაცივრი, შენახვის წესები, ჯანსაღი საკვები) გახანგრძლივებული სწავლება. სკოლა არ ახორციელებს სპეციფიკურ მომსახურებასა და პროგრამებს. ხოლო, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე.

2023-2024 წელის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ფასიანი წრეები არ აქვთ გათვალისწინებული. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ორ უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს საშუალო საფეხურზე არჩეულია გეოგრაფიული კვლევა, გარემო და მდგრადი განვითარება.

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელს იფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- ✓ სამოქალაქო განათკლების კლუბი „პარალელი“
- ✓ „STEAM“ კლუბი
- ✓ ხელოვნების კლუბი - „პალიტრა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ ლიტერატურული კლუბი - „მკითხველი“

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯოროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში.
   სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს (წრეები, კლუბები...). მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სასწავლო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგნაწესი;
- ბრძანებები: მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებაზე, მობილობის, მოსწავლის ჩარიცხვაზე, საფეხურის დაძლევის;
- იჯარის ხელშეკრულებები;
- მშობელთან გაფორმებული შეთანხმება;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100022534095350
- ბრძანება პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეების კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება ისგ-ჯგუფის შექმნის შესახებ;
- გასაუბრება ადმინისრაციასთან, მასწავლებლებთან, სპეც. მასწავლებლებთან.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ტრენზიციის მხარდამჭერი აქტივობები:
   - სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
- სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
- დირექტორის მოადგილე შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
- აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
- კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
- ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
- ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
- დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
- დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.
- სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სსსმ მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. მოსწავლეთა სასწავლო ადაპტაციისათვის ყველა დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლიც მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეებზე. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველკლასელთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა მშობლებთან/მეურვეებთან ჯერ კიდევ ჩარიცხვამდე ხდება ინფორმაციის გაზიარება. სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ კი, დამრიგებლები, სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად სკოლის დათვალიერება და გაცნობა, საუბრებით სხვადასხვა თემაზე, წესების ერთობლივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებისა და სხვა გზით სწავლის დაწყების მომენტიდან იწყებენ მოსწავლეთა ადაპტაციას. დაწყებითი კლასის დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით, ცდილობენ შეუმსუბუქონ მეოთხეკლასელებს ემოციური ფონი მე-5 კლასში გადასვლასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. სასკოლო სასწავლო გეგმით მიმდინარე წელს დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები ქართულსა და მათემატიკაში IV და VI კლასებში. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.

საბაზო საფეხურის ბოლოს კი დაგეგმილია წლიური გამოცდები ფიზიკაში, ქიმიაში და ინგლისურ ენაში. წლიური გამოცდის ქულას გავლენა არ ექნება საგნის წლიურ ქულაზე. მოცემული შედეგები გათვალისწინებული იქნება, რათა სკოლამ შეაფასოს STEAM მზაობა მოსწავლეებში მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად და ამის გათვალისწინებით დაიგეგმოს საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

სკოლას გამოყოფილი აქვს პარასკევი დღე 13-დან 17-საათამდე მშობლებთან საკომუნიკაციოდ. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობლებთან კომუნიკაციის წესში გაწერილია, რომ მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, სმს-ი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ამისთვის სკოლა არის ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმები. უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილი იქნება დამრიგებლების მიერ. აღინიშნება დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე, პროექტი სახელწოდებით ,,ქოლგა", ბავშვთა დაცვის დღე და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სასწავლო პროცესის მეტად მართვის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს სპეციალიზირებული კითხვარების შექმნას, კონკრეტული პროექტის, ინიციატივის განმახორციელებელ პირთან ერთად და მოხდება სასკოლო საზოგადების უკუკავშირის კვლევა.

მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში მოცემულია მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია კერძოდ, ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე, ელ-ჟურნალის მეშვეობით, სოციალური ქსელით და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ანონიმური კითხვარები მშობლებისათვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეთათვის, რომლებსაც გამოიყენებენ მომავალი სასწავლო წელს სწავლა/სწავლების გასაუმჯობესებლად, სასკოლო პროცესების უკეთ მართვისთვის, პრობლემების გამოვლენისა და მოგვარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სასწავლო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება
- სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. მაგალითად, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში არსებულ პროფესიულ სასწავლებელ „ახალ ტალღა“-სთან, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლა ინტენსიურად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა, როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი სასწავლებლებიდან წარმომადგენლების ვიზიტი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლაში ვიზიტისას, სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუში გაირკვა, რომ სკოლა აპირებს თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილება სხვადასვა აქტივობებით. სკოლა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვებს ანკეტირების საშუალებით, სკოლა უწყობს მოსწავლეებს შესაბამისი სფეროს პროფესიონალებთან შეხვედრებს. აგრეთვე 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ჩატარდეს სკოლადამთავრებული მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა პროფესია აირჩია და როგორ დაეხმარა მას სკოლა პროფესიის არჩევაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100022534095350
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღა“-სთან;
- ინტრვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმი. სკოლაში შემუშავებულია სსსმ განვითარების გეგმა. არსებობს მშობელთა განცხადებები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები, ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ისგ გეგმები, სსსმ მოსწავლეთა რესურს ოთახით სარგებლობის ცხრილი. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლეთათვის და მათი დამუშავების ეტაპები. სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესები. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ამიტომ სკოლას გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლაში სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერისთვის ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები: სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები, ძლიერ მხარეზე დაყრდნობით, შემუშავებული და შექმნილია ისგ გეგმები. პერიოდულად მიმდინარეობს ისგ ჯგუფების შეხვედრები და გეგმების შუალედური მონიტორინგი და შეფასება. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ კუთხით. სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან, სსსმ მოსწავლის კოორდინატორთან, ადმინისტრაციასთან და სკოლაში მომუშავე სხვა პერსონალთან, თოთოეული მათგანი აქტიურად მონაწილეობს ისგ ჯგუფის შეხვედრებში, კონკრეტული მოსწავლის ინდ. გეგმის შემუშავებაში, კომპლექსური დავალების ადაპტირებაში. აქტიურად არიან ჩართული სსსმ მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი საჭიროებების უკეთ განსაზღვრას. ყოველ წელს ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსოთახის გამდიდრება სსსმ პირების საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა რესურესებით. ასევე, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, საკლასო ოთახში ხდება სპეცმასწავლებლების ჩართულობა. სკოლას გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე და მხარდამჭერ ღონისძიებებში სსსმ მოსწავლთა ჩართულობაზე მათი განვითარებისა და წინსვლისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეც. მასწავლებლების ჩართულობა, რომელიც სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გარდა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასაც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით. სკოლაში აქტიურად მოეწყობა როგორც ინკლუზიური განათლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებები, ასევე სსსმ მოსწავლეთა სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელისშემწყობი ღონისძიება-აქტიოვბები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწვლო გეგმა 2023-2024;
- მასწავლებლის ხელშეკრულება, ასისტენტის ხელშეკრულება;
- მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნები,
- ინკლუზიური განათლების ცნობადობის მიზნით განხორციელებული აქტივობები;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ისგ გეგმები,
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, სპეცმასწავლებლებთან,

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე; იჯარის ფორმით ფართი გაცემულია კანონმდებლობის შესაბამისად. იჯარით გაცემა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, თანხმობა მიღებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, აუქციონის სახით აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ჩატარებულია აუქციონი და გაფორმებულია ხელშეკრულება. კვების ობიექტის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი, რომელიც გაწერილია სკოლის ექიმის მოვალეობებში.
   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში“ სკოლას ემსახურება ოთხი მიმართულებით ექვსი ტრანსპორტი, რაზეც სკოლაში გამოყოფილია მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლას, კანონის ყველა ნორმის დაცვით, იჯარით აქვს გაცემული ფართები. გაიჯარებულ ფართებში საგანმანათლებლო მომსახურეობები არ ემთხვევა სასწავლო დროს, მიმდინარეობს გაკვეთილების დასრულების შემდეგ და შაბათ -კვირას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ხელშეკრულებები გაიჯარებული ფართების შესახებ,**
- **სასკოლო სასწვლო გეგმა;**
- **გასაუბრება ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე:

1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
2.რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუზველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლ. დავალებების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა,სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მშობლის კითხვარი
- მშობელთა გამოკითხვა
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- მშობლის ანკეტა
- მშობელთან ურთიერთობის სტრატეგიის ბრძანება
- კათედრის სამუშაო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი-პირადი ჰიგიენა, ჩემი უფლებები და მოვალეობები. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. ***რჩევა: ბუნებისმეტყველების III,IV,V,VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია მხოლოდ 2-2 კომპლექსური დავალება. სასურველია სკოლამ დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეებს შესთავაზოს მეტი რაოდენობის კომპლექსური დავალება.***

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლებს აქვთ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას, ზრუნავს, რომ სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზოს მოსწავლეს, რომ გაზარდოს მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეეწყოს ცოდნის კონსტრუირებას. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შეაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშობის და სხვადასხვა აქტივობები და სხვადასხვა.წარმოდგენილ ნიმუშებში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს და მასთან დაკავშრებულ მკვიდრ წარმოდგენებს). წარმოდგენილი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად მიმართულია სწავლის პროცესის შეფასებისკენ და იძლევა საშუალებას, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებელმა, ისე თავად მოსწავლემ. კომპლექსური დავალების მატრიცებში, ბოლო ეტაპზე მოცემულია კითხვები რეფლექსიისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითრებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშვებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. თუმცა ბუნებისმეტყველების კათედრას არ წარმოუდგენია V-VI კლასში გათვალისწინებული თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

რჩევა: სასურველია V-VI კლასისთვის კათედრამ შეიმუშაოს აღნიშული რუბრიკები და ასევე სასურველია უცხო ენის კათედრამ შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დააკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევები, სწრაფად მოახდინა რეაგირება და ვიზიტის შემდგომ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა V-VI კლასის ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში წარმოდგენილია მკაფიო კრიტერიუმები, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. გათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით, რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი (კომპლ.დავალებებზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი პროგრამები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების წლიური ანგარიში ;
- სამუშაო შეხვედრის რეფლექსია;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ინდგეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ყოველთვის გაკვეთილს იწყებენ ძველი ცოდნის გახსენებით და შემდეგ ახდენენ მასზე ახალი ცოდნის დაშენებას, რა თქმა უნდა ეს ეხმარება მასწავლებლებს, რომ მოახდინონ იდენტიფიცირება, თუ რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით. მასწავლებლებმა გაიხსენეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას რა გზებით ცდილობენ საკითხის განხილვის დროს მოსწავლეები ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით მიიყვანონ ახალ ცოდნამდე.კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/ განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მუშაობს მოსწავლის სასწავლო პროცესში გამოჩენილი დამოუკიდებლობის წახალისებაზე, სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და სხვა აქტივობებს, რომელიც ემსახურება მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას. მასწავლებლები თვლიან, რომ ამ აქტივობების და მიდგომების ხარჯზე, მოსწავლეები აცნობიერებენ მიღწეულ შედეგებს, ეჩვევიან საკუთარი სწავლისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგს. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამგვარადაა შედგენილი. ისინი მოითხოვს სწავლის პროცესზე დაკვირვებას თავად ცოდნის მიმღების მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; ამ მიზანს ემსახურება ის შეკითხვები, რომელიც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს მაგალითისთვის გააჟღერეს და რომელსაც კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენისას ხშირად იყენებენ. მაგ, როგორ გაართვი თავი დავალებას?, რა ნაწილში გაგიჩნდა კითხვა?, როგორ უპასუხე წამოჭრილ კითხვას?, რატომ აირჩიე დავალების შესრულების ეს მეთოდი? და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითრებას. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.
2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მე-5 კლასში ჩატარებული კომპლექსური დავალების დროს მომზადებული რესურსი, ,,საქართველოს მდინარეები“. ასევე მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების და გვიდასტურებენ, რომ მოსწავლეები ქმნიან მრავალფეროვან რესურსურსებს. გადმოგზავნილია განხორციელებული პროექტის გეგმა ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტეგრირებული აქტივობა
- პროექტი “ჩემი სახელოსნო“
- სხვადასხვა პროექტების, გამოფენების ,აქტივობებისას შექმნილი პროდუქტების ფოტო-ვიდეო მასალა
- დაწყებითი საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს ამ კუთხით პროექტებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა და ასევე მოსწავლეთა მშობლების ამ დაინტერესება. კონკრეტულად კი მასწავლებელს დაგეგმილი ჰქონდა პროექტი სახელით ,,მინი მუზეუმი,, სადაც მოსწავლეებთან ერთად მშობლებიც იყვნენ ჩართული. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან ორ კომპონენტში:

1. მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასი),
2. შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასი),

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითდად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითრებელი კომენტარი, რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებისმეტყველებაში V-VI კლასში არ არის წარმოდგენილი თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

რჩევა: სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრამ V-VI კლასში ყველა თემისთვის შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევები, სწრაფად მოახდინა რეაგირება და ვიზიტის შემდგომ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა V-VI კლასის ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში წარმოდგენილია მკაფიო კრიტერიუმები, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. რუბრიკები, ჩეკლისტები, შეფასების ფორმები) ვერიფიკაცია;
- ✓ მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- ✓ მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული პროდუქტისა და შესრულების - ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში.ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისმხობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემოს იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვენების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **კათედრის სამოქმედო გეგმა,**
- **კურიკულუმის ჩარჩო,**
- **გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა/ურთიერთდასწრების შედეგები.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციათა დელეგირების საფუძველზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოებლად გათვალისწიებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,**
- **სოლო ტაქსონომია,**
- **შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულიმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგის თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები,
- ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე:

1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);

2.რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;

3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;

4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუზველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლ. დავალებების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მშობელთა გამოკითხვა
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- კათედრის სამუშაო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. დაგეგმილი აქვთ კლუბური მუშაობის გააქტიურება - (იგეგმება ქიმიური კლუბის ,,ალქიმიკოსის" ახალი წევრების შერჩევა, მასწავლებლები ჩართული არიან პროექტში STEM - ასისტენტი და გეგმავენ სხვადასხვა STEM აქტივოებების განხორციელებას). წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა. თუმცა, სასურველია რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას გამოიკვეთოს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შესაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშობის და სხვადასხვა აქტივობები და სხვადასხვა. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთნ სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითრებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშვებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. თუმცა უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების უმრავლესობა არის ზოგადი ხასიათის, ამიტომ მათ მიეცათ რჩევა შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც კონკრეტული თემის ფარგლებში დააკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. გათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით.რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც.პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი (კომპლ.დავალებებზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების წლიური ანგარიში ;
- ინდ.გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ <u>შეესაბამება</u>
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/ განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. მაგ: ხელოვნების პედაგოგმა ისაუბრა 7 კლასში დაწყებულ კომპექსურ დავალებაზე (თემატური ბლოკი გარემო და ხელოვნება, თემა: ხელოვნება ადამიანის ინტერესის ობიექტი, პრეისტორიული მხატვრობა) და გაანალიზა მის მიერ განხორციელებული ნაბიჯები, აქტივობები, გამოყენებული რესურსები და აქვე აღნიშნა დავალების დროს როგორ განვითარდა მეტაკოგნიტური უნარები. გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლები იაზრებენ სასწავლო პროცესში ცოდნის კეთებით სწავლებით მნიშვნელობას, ამისათვის იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს. აქვთ მზაობა ამ მიმართულებით მუშაობის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითრებას. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, უცხო ენაში მეხუთე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება საკითხით: წერილობითი ანგარიში თემაზე - ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობები. აღნიშნული დავალება წარმოადგენს სხვადასხვა საკითხების ურთიერთდაკავშირებულად და ინტეგრირებულად სწავლის საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმი;**
- **კომპლექსური დავალება;**
- **მკითხველთა კლუბის წესდება და სამუშაო გეგმა.**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით:

ა)მიმდინარე საკლასო დავალება.

ბ)მიმდინარე საშინაო დავალება.

გ)შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითადად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითრებელი კომენტარი რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს შეამოწმებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- ✓ მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- ✓ მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში.ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს , სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;**
- **კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისმხობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი,რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემოს იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვენების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;

- **კათედრების სამოქმედო გეგმა,**
- **კურიკულუმის ჩარჩო,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციათა დელეგირების საფუძველზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოებლად გათვალისწიებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური..).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,**
- **სოლო ტაქსონომია,**
- **შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულიმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგების თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები,**
- **ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე:

1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
2.რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუზველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლ. დავალებების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მშობელთა გამოკითხვა
- მოსწავლეთა გამოკითხვა
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- კათედრის სამუშაო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი-პირადი ჰიგიენა, „ჩემი უფლებები და მოვალეობები“. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ განხორციელებულ პროექტებზე რომელიც შეიმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლისათვის. აგრეთვე მათ წარმოაჩინეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და შუალედური მიზნები, რომლებიც საშუალო საფეხურის მასწავლებლების განხორციელებულ პროექტებში იკითხებოდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე. გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა ისაუბრეს 2023-2024 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტებში შემავალი თემების და საკითხების შესახებ, სადაც გამოჩნდა გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. წარმოდგენილი კურიკულუმის ცხრილების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და კომპლექსური დავალების მატრიცების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს, ფუნქციურ უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება და რადგან ამ საფეხურზე არ არის სსსმ მოსწავლე, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოან კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. ასევე სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ითავლისწინებენ მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შსაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშობის და სხვადასხვა აქტივობები და სხვადასხვა. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთნ სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითრებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშვებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები. კათედრებმა წარმოადგინეს შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების როგორც ინტერვიუში აღნიშნეს რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობითა და შეთანხმებით. საგნობრივად წარმოდგენილი იყო თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების და სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების უმრავლესობა არის ზოგადი ხასიათის, ამიტომ მათ მიეცათ ***რჩევა შექმნან ახალი და დახვეწონ არსებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*** კერძოდ, ჩაიშალოს ისინი თემების მიხედვით და სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. გათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით-რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები , რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც. პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი (კომპლ.დავალებებზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად ხორცილედება წინა წლების გამოცდილების გაზიარება და გაწეული სამუშაოს მონიტორინგი, რომლის მიხედვითაც სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმების განვითარების პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულწილად შეიცვალა შუალედური მიზნები, მოდიფიცირდა რესურსები, აქტივობები და პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უკეთ აღიქვან საკითხის არსი. პედაგოგები აღნიშნული მიმართულებით მიმართავენ თვითრეფლექსიასა და ურთიერთანაშორმლობის პრინციპზე დამყარებულ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **კურიკულუმი;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;**
- **საგნობრივი პროგრამები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **კათედრების წლიური ანგარიში ;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ <u>შეესაბამება</u>
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის წესდება და სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, სკოლა არ იყოს ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა აქვთ კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა სასწავლო პროექტები, პროფ - ორიენტაციის გაკვეთილები, უნივერსიტეტის და სხვადასვხა პროფესიის წარმომადგელებთან შეხვედრები, აპირებენ კლუბური მუშაობის განახლებას - ახალი წევრების შერჩევას და STEM პროექტებზე მუშაობას. ყველაფერი ეს ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა /განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ახორციელებენ აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითრებას. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს ,საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული სწავლების. ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირება იკვეთება მუსიკში წარმოდგენილ პროექტში „მუსიკა - თერაპია და პიროვნების სოციალიზაცია“; “ალტერნატიული მუსიკა, ანდეგრაუნდი ქართული და დასავლური პარალელები”და ხელოვნებაში წარმოდგენილ პროექტში „კულტურული მემკვიდრეობის ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონკრეტული ძეგლის კვლევა სახელწოდებით ,,პეტრას ციხე". წარმოდგენილი პროექტები საშუალო საფეხურზე ეხება კონკრეტულ ქვეცნებას, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს, იგივე სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმი;**
- **კომპლექსური დავალება;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით:

ა)მიმდინარე საკლასო დავალება.

ბ)მიმდინარე საშინაო დავალება.

გ)შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითადად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითრებელი კომენტარი რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს შეამოწმებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- ✓ მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- ✓ მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს. სამომავლოდ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. (კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;**
- **კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისმხობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემოს იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვენების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **კათედრის სამოქმედო გეგმა,**
- **კურიკულუმის ჩარჩოები,**
- **გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა/ურთიერთდასწრების შედეგები.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციათა დელეგირების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოებლად გათვალისწიებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,**
- **საშუალო საფეხურის კურიკულუმი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **კათედრების სხდომის ოქმები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულიმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუყმცა პედაგოგის თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები,**
- **ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა ედიშერაშვილი _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნათია ღოღობერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) _____

შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) _____

შაქრო ჟღენტი (მათემატიკისსაგნობრივი ექსპერტი) _____

მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი) _____

ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) _____

ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი) _____

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი) _____

ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი) _____

ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი) _____

მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) _____

05.12.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____